დამატებითი შეთანხმება №3
2020 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული №1/83-2020 ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი

მარტი, 2021

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"** (მისამართი: თბილისი, სამგორის რაიონში, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); ს.კ 404389693) წარმოდგენილი მისი დირექტორის, თამარ არჩუაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ, **შპს „გზა"** (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ლ.ასათიანის ქ. N 51 ბინა 1 ს.კ.245 525 132) წარმოდგენილი მისი დირექტორის, მალხაზ დუმბაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი")

1. ,,შემსყიდველსა" და ,,მიმწოდებელს" შორის 2020 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული №1/83-2020 ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის შესაბამისად და ინფრასტრუქტურის განვითარების მენეჯერის N1/87 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

2. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, 4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2021 წლის 08 მარტის ჩათვლით, თანდართულ გეგმა-გრაფიკში დაფიქსირებული ვადების შესაბამისად."

3. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, 12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 30 მაისისა. ეს ვადა არ ეხება მე-9 მუხლით და 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს."

4. ხელშეკრულების 8.1 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იყოს კორექტირებული საბანკო გარანტია **# 6653-09/20.**

5. ხელშეკრულებას თან ერთვის კორექტირებული გეგმა გრაფიკი: იხ.დანართი.
6. ხელშეკრულების ყველა.სხვა დებულება რჩება უცვლელი;
7. წინამდებარე შეთანხმება ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
8. წინამდებარე შეთანხმების პირობები ვრცელდება 2021 წლის 23 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

თამარ არჩუაძე
დირექტორი

United Airports of Georgia LLC
Digitally signed by United Airports of Georgia LLC
DN: cn=United Airports of Georgia LLC, 2.5.4.97=NTRGE-404389693, o=..... , c=GE
Date: 2021.03.02 17:46:03 +04'00'

„მიმწოდებელი"
შპს „გზა"

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

LTD GZA
Digitally signed by LTD GZA
Date: 2021.03.02 15:50:40 +04'00'

	სამუშო დასახელება	**სამუშაო პერიოდი (თვე)**																								
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18		19	21	22	23	24	25
		28.09.2020	05.10.2020	12.10.2020	19.10.2020	26.10.2020	02.11.2020	09.11.2020	16.11.2020	23.11.2020	30.11.2020	07.12.2020	14.12.2020	21.12.2020	28.12.2020	04.01.2021	14.01.2021	21.01.2021	28.01.2021	04.02.2021	11.02.2021	16.02.2021	23.02.2021	27.02.2021	02.03.2021	08.03.2021
1	მობილიზაცია																									
2	საგზაო სამოსის მოწყობა															20 იანვარი დასრულების ვადა				ცენტრალურ გზაზე მიერთება						
3	სამოადვრე კანალიზაცია																									
4	ელექტროობა																									
5	სამშენებლო სამუშაოები (საკონტროლო გამშვები პუნქტი																									
6	თანმდევი საპროექტო სამუშაოები																									